საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 11734/01
28/11/2019

11734-01-2-201911280854

შპს „ერ ტრანსს“
მის: *ქ. ბათუმი, აკაკი შანიძის ქ. N3*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 13 ნოემბრის №16283 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, ხელვაჩაურის სამრეწველო ზონაში, აკაკი შანიძის ქ. N3-ში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი GPS კოორდინატები არ ემთხვევა ამავე განცხადებაში საკადასტრო კოდით წარმოდგენილ ტერიტორიას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საკადასტრო კოდის ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 300 მ-ში. განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ტერიტორია მდ. აჭარისწყლიდან დაშორებულია 600-800 მეტრით, ტერიტორიის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიასთან მიედინება მდ. ჭოროხი, რომელიც ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 40 მეტრით. განცხადებაში წარმოდგენილი განსხვავებული მონაცემებიდან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაციები საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისის ინფრასტრუქტურით, თუმცა განმარტებული არ არის რა იგულისხმება ამ ინფრასტრუქტურაში;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ტექნოლოგიურ პროცესში პირველად საცერში წყლის გამოყენებით ხდება ბუნებრივი ქვიშის მოცილება, რომელიც შემდგომ გაივლის კლასიფიკატორს და დასაწყობდება. დაზუსტებას საჭიროებს რა რაოდენობის ქვიშა მიიღება ტექნოლოგიურ პროცესში და როგორ განხორციელდება შემდგომ მისი მართვა;
- სკრინინგის განცხადებაში ასევე დაზუსტებას საჭიროებს სალექარის პარამეტრები (გამტარუნარიანობა).
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების (მათ შორის სალექარში წარმოქმნილი ნარჩენების) მართვის შესახებ;
- დასაზუსტებელია საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა;

- ინფორმაცია იმის შესახებ, საიდან მოხდება ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული სასარგებლო წიაღისეულის შემოტანა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №440 დადგენილების (წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მდ. ჭოროხის წყალდაცვითი ზოლი შეადგენს 50 მ-ს. ამავე დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში აკრძალულია რიგი საქმიანობები, გარდა კანონით დადგენილი პირდაპირი შემთხვევისა. შესაბამისად, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახული უნდა იყოს შპს „ერ ტრანსის“ მიერ საქმიანობის დაგეგმვის ეტაპზე ზემოღნიშნული დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ განახლებული სკრინინგის განცხადების განმეორებით წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით.

სამინისტრო თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ერ ტრანსის“ მიერ გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხები.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე